საიდ. N75095/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №177-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ ,,საქპატენტთან" არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, ს. ებრალიძე, ლ. ახობაძის მდივნობით, განიხილა კომპანიის ,,სოდილაქ" (SODILAC) (მის.: 68, რიუ დე ვილე, 92300 ლევალუა-პერე, საფრანგეთი; 68, rue de Villiers, 92300 LEVALLOIS-PERRET) N185-03/14 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება ,,სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ" საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 19 აგვისტოს N1040/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს უარის ეთქვა რეგისტრაციაზე მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ და სასაქონლო ნიშნის ,,MODILAC" (საიდ. N75093/03) რეგისტრაცია მე-5 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 19 აგვისტოს N1040/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი ,,MODILAC", მსგავსია მადრიდის ოქმით კომპანიის ,,EGIS GYÓGYSZERGYÁR Nyilvánosan Működő Részvénytársaság" (მის.: Kereszturi út 30-38, H-1106 Budapest; HU), სახელზე მე-5 კლასის მსგავსი საქონლისათვის რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული ნიშნისა „MODYLAN“ (საერთ. რეგ. №1090086, საერთ. რეგ. და გავრცელების თარიღი 11.07.2011წ.). დაპირისპირებული ნიშნები წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. დაპირისპირებულ და სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ სასაქონლო ნიშნებს შორის არსებობს, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური მსგავსება. ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, ვინაიდან ორივე მათგანი შედგება ლათინური ანბანით შესრულებული შვიდი ასოსგან და მათ შორის განსხვავებულია მხოლოდ მეოთხე ,,I'' და ,,Y'' და მეშვიდე ,,C'' და ,,N'' ასოები. დაპირისპირებული ნიშნები ასევე მსგავსია ფონეტიკურად, ვინაიდან რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც ,,მოდილაკი'', ხოლო სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი, როგორც ,,მოდილანი''. დაპირისპირებულ ნიშნებს აქვთ აღრევამდე მსგავსი ჟღერადობა და ვიზუალური მხარე, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ'' საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე, სასაქონლო ნიშანს ,,MODILAC“ (საიდ. N75093/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მე-5 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და განმარტავს, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდება, როგორც ვიზუალურად MODILAC – MODYLAN (განსხვავდება მეოთხე და ბოლო ასოები), ისე ჟღერადობით - „მოდილაქ“ – „მოდაილან“.

აპელანტი ასევე აღნიშნავს, რომ მან 2014 წლის 15 ოქტომბერს ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, თხოვნით მიმართა საქპატენტს მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალის შეზღუდვის თაობაზე და მოითხოვა მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალის შეზღუდვა შემდეგი სახით: „სამედიცინო დანიშნულების დიეტური კვება და ნივთიერებები; ბავშვთა კვება; ბავშვთათვის და ჩვილ ბავშვთათვის განკუთვნილი რძის ფხვნილი და რძე; საკვები და დიეტური დანამატები ადამიანებისათვის, განსაკუთრებით კი ბავშვებისათვის და ჩვილ ბავშვებისათვის; დავიტამინებული და მინერალებით გამდიდრებული სასმელები; დიეტური სასმელები“. მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნა „ფარმაცევტული პრეპარატები“. აპელანტი განმარტავს, რომ გადაიხადა საქონლის შეზღუდვისათვის, ანუ ცვლილებისათვის, გათვალისწინებული საფასური. თავისი თხოვნის პასუხად აპელანტმა მიიღო საქპატენტის წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ საქმისწარმების ამ ეტაპზე მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალის შეზღუდვის შესახებ მისი მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება. აპელანტი სააპელაციო საჩივარში განმარტავს, რომ თანახმაა შეიზღუდოს განცხადებული მე-5 კლასის საქონელი ზემოთ მოყვანილი ფორმით. აპელანტი თვლის, რომ მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანის საქონლის ჩამონათვალი და განცხადებული სასაქონლო ნიშნის საქონლის შეზღუდული ჩამონათვალი მიეკუთქვნება ერთსა და იმავე მე-5 კლასს, ის საკმარისად განსხვავებულია, ვინაიდან გამოიყენება განსხვავებული დანიშნულებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს ბათილად იქნას ცნობილი ,,სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების

განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 19 აგვისტოს N1040/03 ბრძანება და სასაქონლო ნიშანი ,,MODILAC“ (საიდ. N75093/03) დარეგისტრირდეს ასევე მე-5 კლასის საქონლის შეღუდული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №177-03/14) უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი ,,MODILAC“ (საიდ. N75093/03) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „MODYLAN“ (№1090086) არ არის აღრევამდე მსგავსი. სასაქონლო ნიშნებს შორის არსებობს როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური განსხვავება.

სააპელაციო პალატის კოლეგია იზიარებს აპელანტის არგუმენტაციას იმასთან დაკავშირებით, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდებიან ვიზუალურად. განცხადებული სასაქონლო ნიშნის მეოთხე ასო არის ,,I“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნისა - ,,Y“, განსხვავებულია ასევე დაპისპირებული სასაქონლო ნიშნების ბოლო ასოები, კერძოდ, ,,C“ და ,,N“. შესაბამისად, ვიზუალური თვალსაზრისით, საერთო შთაბეჭდილება, რომელიც შესაძლოა სასაქონლო ნიშნებმა მოახდინონ მოხმარებელზე, არ არის მსგავსი.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდება ჟღერადობით. ქართველი მომხმარებლის მიერ განცხადებული სასაქონლო ნიშანი გამოითქმის, როგორც - ,,მოდილაკ“, ხოლო დაპისპირებული სასაქონლო ნიშანი, როგორც - ,,მოდილან“.

რაც შეეხება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების სემანტიკურ მნიშვნელობას, სააპელაციო პალატის კოლეგიის მიერ ვერ იქნება მოძიებული სიტყვიერი ელემენტების ,,MODILAC“ და „MODYLAN“ შინაარსობრივი მნიშვნელობა. შესაბამისად, ორივე დაპისპირებული ნიშანი ფანტაზიურია.

სააპელაციო პალატის კოლეგია მხდეველობაში იღებს აპელანტის მიერ წარმოდგენილ მე-5 კლასის საქონლის შეზღუდულ ჩამონათვალს, რომლის მიხედვით განცხადებული ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნა „ფარმაცევტული პრეპარატები“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არ არსებობს ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნის ,,MODILAC“ (საიდ. N75093/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი და სასაქონლო ნიშანი ,,MODILAC“ (საიდ. N75093/03) უნდა დარეგისტრირდეს ასევე მე-5 კლასის საქონლის შეზღუდული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის ,,სოდილაქ“ (SODILAC) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №177-03/14) დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნას ცნობილი ,,სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 19 აგვისტოს N1040/03 ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს უარის

ეთქვა რეგისტრაციაზე მე-5 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

3. სასაქონლო ნიშანი ,,MODILAC“ (საიდ. N75093/03) დარეგისტრირდეს მე-5 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „5 - სამედიცინო დანიშნულების დიეტური კვება და ნივთიერებები; ბავშვთა კვება; ბავშვთათვის და ჩვილ ბავშვთათვის განკუთვნილი რძის ფხვნილი და რძე; საკვები და დიეტური დანამატები ადამიანებისათვის, განსაკუთრებით კი ბავშვებისათვის და ჩვილ ბავშვებისათვის; დავიტამინებული და მინერალებით გამდიდრებული სასმელები; დიეტური სასმელები“.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: ს. დუმბაძე

ს. ებრალიძე